



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების
მონიტორინგი
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 2 ივლისი - 11 ნოემბერი, 2012 წელი

პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012
პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი

მონიტორინგის ძირითადი მიგნებებია:

- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობოდა დრო;
- მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე ხშირად ხუთი პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შესახებ ვრცელდებოდა ინფორმაცია. ესენია: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია "ქართული ოცნება", ახალი მემარჯვენეები, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და თავისუფალი საქართველო;
- საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ მკვეთრად მოიმატა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და კოალიცია "ქართული ოცნების" აქტივობების გაშუქებამ;
- არჩევნების შემდგომ პერიოდში ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ გარდა, სხვა პოლიტიკური პარტიები ფაქტიურად აღარ შუქდებოდნენ. თუმცა ამ ორი სუბიექტისთვის დათმობილი დროც თანდათან შემცირდა;
- სიუჟეტების უმეტესობა სუბიექტების აქტივობების შესახებ ზედაპირულ ინფორმაციას შეიცავდა და არ წარმოაჩენდა საკითხის ირგვლივ არსებულ განსხვავებულ ან კრიტიკულ მოსაზრებებს.
- არჩევნების შემდგომ პერიოდში შემცირდა ჟურნალისტების მიერ ინფორმაციის სუბიექტური გაშუქების ფაქტები;
- არჩევნების შემდგომ პერიოდში ტელეკომპანიების ნაწილი პოლიტიკურ მოვლენებზე მეტად აქცენტს რეგიონის სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ საკითხებზე აკეთებდა;
- არჩევნებამდე რეგიონალურ ტელეკომპანიათა უმეტესობა დიდ დროს უთმობდა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებას. გაშუქება თითქმის ყოველთვის პოზიტიური იყო. წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში მკვეთრად შემცირდა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქება. ხოლო არჩევნების შემდგომ პერიოდში ისევ საგრძნობლად მოიმატა, თუმცა გაშუქება ამჯერად მხოლოდ პოზიტიური აღარ იყო;
- ხელისუფლების მიერ ინიცირებული პროგრამები ზედაპირულად, დამატებითი არგუმენტების გარეშე შუქდებოდა. ტელეკომპანიათა უმრავლესობაში ეს გაშუქება დადებით ტონში ხდებოდა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა 17-23 სექტემბრის პერიოდი, როდესაც "მთავრობის" და "ხელისუფლების" გაშუქების

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

ტონი მკვეთრად ნეგატიური იყო, რადგან ამ პერიოდში ყველა ტელეკომპანიამ მეტ-ნაკლებად გააშუქა კვირის მთავარი მოვლენა - სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა წამების ამსახველი კადრები და ძალადობის წინააღმდეგ მოწყობილ საპროტესტო აქციები;

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 2 ივლისი - 11 ნოემბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელამაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ჭიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი" (ქ. ბორჯომი), "მარნეული ტვ" (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ეგრისი" (ქ. სენაკი).

პროექტის მიმდინარეობის მანძილზე საინფორმაციო გადაცემები არ მოუშვადებიათ ტელეკომპანია "ქრონიკას" (ქ. დუშეთი) და "ეგრისს" (ქ. სენაკი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე.წ. "პრაიმ-ტაიმის" პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი


ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგეობების თავმჯდომარეები); აჭარის მთავრობა; აჭარის პარლამენტი; ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლეიბორისტული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა; სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ);

არჩევნებთან დაკავშირებული ახალი სუბიექტების გამოჩენის პარალელურად მონიტორინგის სუბიექტების რაოდენობა გაიზარდა. კერძოდ, დაემატა სუბიექტები: განახლებული საქართველოსთვის, მომავალი საქართველო, მწვანეთა პარტია, ტრადიციონალისტთა კავშირი, თეთრები, სოციალ-დემოკრატიული პარტია, მონარქისტული პარტია, თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა.


საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას ტელეკომპანიამ ჯამში 16 საათი და 4 წუთი დაუთმო. აქედან 2 საათი და 54 წუთი ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებაზე მოდიოდა, 2 სთ. და 39 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნების", საათი და 48 წუთი - აჭარის მთავრობის. თითქმის თანაბარი დრო დაეთმოთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (1 სთ. 24 წთ.) და მთავრობას (1 სთ. 22 წთ.).




სუბიექტებზე უმეტესწილად ნეიტრალურად საუბრობდნენ. 33% პოზიტიურ ტონში გამოუქდა ახალი მემარჯვენეები (დათმობილი დრო 21 წთ.), 29% - ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (დათმობილი დრო 47 წთ.). ხოლო 81% ნეგატიურად გამოუქდა ხელისუფლება (დათმობილი დრო 1 სთ.), 46% - მთავრობა (დათმობილი დრო 1 სთ. 22 წთ.), 42% - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (1 სთ. 24 წთ.).

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი



სუბიექტების ირიბი გაშუქება ხშირ შემთხვევებში სჭარბობდა პირდაპირს. ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო კოალიცია "ქართული ოცნების", აჭარის მთავრობის, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის, თავისუფალი საქართველოს, ახალი მემარჯვენეების გაშუქებისას. მეტი პირდაპირი საუბარი (66%) დაფიქსირდა ლეიბორისტული პარტიის გაშუქებისას (დათმობილი დრო 18 წთ.).



ტელეკომპანია „25-ე არხი“ აქტიურად აშუქებდა რეგიონში მიმდინარე მოვლენებს, თუმცა ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ თემებსაც ეხებოდა.

სიუჟეტების უმეტესობა დაბალანსებულია, თუმცა იყო არასაკმარისი ბალანსის შემთხვევებიც. კერძოდ, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიციების გაშუქებას გაცილებით ნაკლები დრო ეთმობოდა, ვიდრე მათი საწინააღმდეგო მოსაზრებების. შესაბამისად, მსგავსი შემთხვევები ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ყოფილი ხელისუფლების უარყოფით კონტექსტში გაშუქების მაჩვენებლის ზრდაზე აისახებოდა.


მონიტორინგის განმავლობაში ჟურნალისტის მხრიდან სუბიექტური შეფასების მხოლოდ ორი შემთხვევა დაფიქსირდა. 9 აგვისტოს გადაცემაში კი ჟურნალისტმა მონაცემები არარეპრეზენტატიულად განაზოგადა: ორ რესპონდენტზე დაყრდნობით მან განაცხადა, რომ *"ბათუმელების აზრით, გია ბარამიძეს ბათუმის მაჟორიტარობა არ დაუმსახურებია"*.

საერთო ჯამში, ჟურნალისტები ფაქტებსა და მოსაზრებებს ერთმანეთისგან მკაფიოდ მიჯნავდნენ და მათი ტექსტები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის მიმართ მიკერძოებული არ ყოფილა.


მონიტორინგის განმავლობაში კადრებით / ხმით მანიპულირების, უზუსტობებისა და მიკერძოებული კითხვების დასმის მსგავსი დარღვევები არ დაფიქსირებულა.

"რიონი" (ქ. ქუთაისი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას სულ 19 საათი და 36 წუთი დაეთმო. აქედან ყველაზე მეტი დრო, 5 სთ. და 19 წთ. მთავრობას დაეთმო. თანაბრად გაშუქდნენ (2 სთ. 20 წთ) ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და კოალიცია "ქართული ოცნება". გაშუქების საათი და 41 წუთი წილად ხვდა პარლამენტს, 1 საათი და 37 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას.


რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა. თუმცა, ნეიტრალური და პოზიტიური გაშუქება ბევრად სჭარბობდა ნეგატიურს. ეს უკანასკნელი ყველაზე მეტი იყო ხელისუფლების (41%) და ოპოზიციის (69%) გაშუქებისას.



სუბიექტების გაშუქებისას მათზე თანაბრად საუბრობდნენ როგორც სხვები, ასევე თავად სუბიექტები:



ტელეკომპანია „რიონი“ მოვლენების გაშუქების ფართო სპექტრით გამოირჩეოდა. რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან ერთად შუქდებოდა მთლიანად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიც. ტელეკომპანია უფრო მეტ დროს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს უთმობდა.

წინასაარჩევნო პერიოდში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა და პრეზიდენტი უმეტესად დადებით კონტექსტში შუქდებოდნენ. მონიტორინგის ამ სუბიექტებს პირდაპირი გაშუქების მაღალი მაჩვენებელიც ჰქონდათ. მაგალითად, 13 აგვისტოს გადაცემაში პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის კომენტარს 3 წუთი და 44 წამი დაეთმო. თუმცა მსგავსი შემთხვევები არჩევნების მოახლოებასთან ერთად შემცირდა და არხის საინფორმაციო გადაცემები დაბალანსდა.


ტელეკომპანია „რიონი“ პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. ტელევიზიამ მაქსიმალურად ობიექტურად გააშუქა სასჯელადსრულების დაწესებულებებში პატიმართა წამების ამსახველი ფაქტები და ძალადობის წინააღმდეგ გამართული თითქმის ყველა საპროტესტო აქცია (როგორც თბილისში, ასევე იმერეთის რეგიონში) და პოლიტიკოსთა მოსაზრებები ამ მოვლენებთან დაკავშირებით.

არჩევნების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალი მოწვევის პარლამენტის მუშაობის გაშუქებას. ჟურნალისტები ცდილობდნენ ნეიტრალურად გაეშუქებინათ ორივე


მხარე. მთლიანობაში საინფორმაციო გამოშვებებში თანაბარი დრო ეთმობოდა, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის აქტივობების გაშუქებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებები და ჟურნალისტის ტექსტი მეტწილად დაბალანსებული იყო. ნაკლებად შეიმჩნეოდა ტელევიზიის მიკერძოებულად დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ პოლიტიკოსის მიმართ.


ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - არხმა მონიტორინგის სუბიექტებს 9 საათი და 31 წუთი დაუთმო. აქედან 3 სთ. და 14 წუთი ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებაზე მოდიოდა. თითქმის თანაბარი დრო დაეთმოთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (1 სთ. 39 წთ.) და მთავრობას (1 სთ. 36 წთ.). საათი და 10 წუთის მანძილზე გაშუქდა კოალიცია "ქართული ოცნება". ხოლო მონიტორინგის სხვა სუბიექტების გაშუქებას საათზე ნაკლები დრო დაეთმო.



მონიტორინგის სუბიექტებს ნეიტრალურ და პოზიტიურ ტონებში აშუქებდნენ. თუმცა დაფიქსირდა ნეგატიურად გაშუქებაც. კერძოდ, კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქების 36% უარყოფითი იყო. სხვა სუბიექტების ნეგატიურად გაშუქების პროცენტული მაჩვენებლები ბევრად მცირეა.



ირიბი გაშუქება ბევრად სჭარბობდა პირდაპირს კოალიცია "ქართული ოცნების" (79%), მთავრობის (66%) და პარლამენტის (63%) შემთხვევებში. პირდაპირი საუბარი მეტი იყო პრეზიდენტის (61%) გაშუქებისას.



ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია რეგიონში განვითარებულ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. თუმცა მონიტორინგის განმავლობაში რამდენიმე სახის პრობლემა გამოიკვეთა: საინფორმაციო გამოშვებებში ფაქტი და მოსაზრება არ არის გამიჯნული, ბალანსი დაუცველია, ჟურნალისტის ტექსტი კი - სუბიექტური.


რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

შეიმჩნეოდა ტენდენცია, რომ ჟურნალისტი კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“ საუბრისას სუბიექტურ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა. მაგალითად, 27 აგვისტოს გადაცემაში წამყვანი დასაბუთების გარეშე აცხადებდა, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ სტიქიით დაზარალებულთა დახმარებას დანაშაულს უწოდებს. პარალელურად ჟურნალისტის ტექსტი ყოფილ ხელისუფლებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დადებით კონტექსტს უქმნიდა. ამის მაგალითია 11 ოქტომბრის გამოშვება, სადაც ჟურნალისტი ავტობიზნესს აანალიზებს და ყოველგვარი განმარტების გარეშე ამბობს: *„ამ სფეროს განვითარებას ხელი საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებებმა, საკანონმდებლო ბაზის დახვეწამ და შინაგან საქმეთა სამინისტროს სწორმა პოლიტიკამ შეუწყო“*.


გარდა ამისა, ტელეკომპანია ზოგიერთ აქტუალურ თემას მიკერძოებულად ან საერთოდ არ აშუქებდა. მაგალითად: რუსთავეში კოალიცია „ქართული ოცნების“ მიტინგი თითქმის ყველა ტელევიზიამ გააშუქა. ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანიამ კი მოამზადა სიუჟეტი, სადაც მხოლოდ აქციის არაორგანიზებულობას გაესვა ხაზი, ხოლო კოალიციის წევრთა განცხადებები საერთოდ არ გაშუქებულა.

არჩევნების შემდეგ ტელეკომპანია პოლიტიკურ ამბებს ნაკლებ დროს უთმობდა და შესაბამისად მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების მაჩვენებელიც შემცირდა.


"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - ტელეკომპანიამ მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას სულ 2 საათი და 8 წუთი დაუთმო. ყველაზე მეტი დრო, 51 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე მოდიოდა. თითქმის თანაბარი დრო დაეთმოთ კოალიცია "ქართულ ოცნებას" (17 წთ.) და ადგილობრივ თვითმმართველობას (16 წთ.). ხოლო გაშუქების 12 წუთი წილად ხვდა მთავრობას.



სუბიექტებს ძირითადად პოზიტიურად და ნეიტრალურად აშუქებდნენ. ნეგატიურ ტონში გაშუქება მხოლოდ კოალიცია "ქართული ოცნების" (32%), მთავრობის (11%) და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (5%) მიმართ გამოვლინდა.



70% ირიბ საუბარზე მოდიოდა ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას. 68% ირიბი გაშუქება ჰქონდა კოალიცია "ქართულ ოცნებას", 61% - ახალ მემარჯვენეებს (დათმობილი დრო 7 წთ.). სხვა შემთხვევებში ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.



ტელეკომპანია "ოდიში" ძირითადად ადგილობრივ სიახლეებს აშუქებდა. გადაცემების ქრონომეტრაჟი ძალიან მცირე იყო, ხოლო ხშირ შემთხვევაში მხოლოდ კულტურული და სპორტული ღონისძიებები შუქდებოდა. შესაბამისად, მონიტორინგის სუბიექტებს ცოტა დრო ეთმობოდათ.

საინფორმაციო გამოშვებები დაუბალანსებელი იყო, სიუჟეტებში არ შუქდებოდა ყველა დაინტერესებული მხარე. იგრძნობოდა ჟურნალისტების ლოიალური, ზოგჯერ კი ტენდენციური დამოკიდებულება ყოფილი ხელისუფლების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ. მაგალითად, 18 სექტემბრის სიუჟეტში, სადაც აღწერილია მუნიციპალიტეტის უფროსის, ალექსანდრე ქობალიას შეხვედრა ზუგდიდის მოსახლეობასთან, ჟურნალისტი ამბობს: *„წუხელ განათებულ ქუჩებში მოსახლეობის ჟრიაბული და უჩვეულო განწყობა იგრძნობოდა, ადგილობრივები გამგებელთან შეხვედრით კმაყოფილები დარჩნენ“.*


ასეთი დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში იგრძნობოდა, როდესაც გადაცემებში, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შეხვედრები და აქტივობები შუქდებოდა.

არჩევნების შემდგომ პერიოდში ტელეკომპანია პოლიტიკურ მოვლენებს ნაკლებად აშუქებდა და შესაბამისად მონიტორინგის სუბიექტებსაც აღარ ეთმობოდათ დრო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდის საინფორმაციო გადაცემები მეტ-ნაკლებად დაბალანსდა.


"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - არხის საინფორმაციო გადაცემებში მონიტორინგის სუბიექტებს თითქმის 8 საათი დაეთმოთ. აქედან საათი და 46 წუთი ადგილობრივი თვითმმართველობის

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი


გაშუქებაზე მოდიოდა, საათი და 35 წუთი - კოალიცია "ქართული ოცნების", საათი და 18 წუთი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის.



სუბიექტებს უმეტესწილად პოზიტიურად და ნეიტრალურად აშუქებდნენ. თუმცა დაფიქსირდა ნეგატიური ტონიც - ყველაზე მეტი ხელისუფლების (25%) და მთავრობის (16%) მიმართ.



სუბიექტების ირიბი გაშუქება ბევრად მეტი იყო პირდაპირზე:



ტელეკომპანია "მე-9 არხი" ძირითადად რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა, თუმცა ყურადღების გარეშე არც ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მთავრ მოვლენებს ტოვებდა.

წინასაარჩევნო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა უმეტესად დადებით და ზოგჯერ ნეიტრალურ ტონში შუქდებოდა. თითქმის არ მომზადებულა განსხვავებული პოზიციების, კრიტიკისა თუ ანალიზის შემცველი სიუჟეტები. თუმცა, გამონაკლისი იყო 17-23 სექტემბრის კვირა, როცა ტელეკომპანიამ პატიმრების წამების ფაქტთან დაკავშირებით მიუკერძოებელი და დაბალანსებული სიუჟეტები მოამზადა, რის შედეგადაც ხელისუფლების მიმართ 80%-იანი ნეგატიურ ტონში გაშუქების მაჩვენებელი დაფიქსირდა.


წინასაარჩევნო პერიოდის (აგვისტოს ბოლო-სექტემბერი) საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადი დრო კოალიცია "ქართული ოცნებისა" და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანიის გაშუქებას დაეთმო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 51% პოზიტიურად შუქდებოდა, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნება" თითქმის 80% - ნეიტრალურად.

არჩევნების შემდგომი პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური მოვლენები და მონიტორინგის სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურ ტონში შუქდებოდნენ. სიუჟეტებში მხარეები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი. ამ პერიოდის საინფორმაციო გამოშვებები დაბალანსებულია, ჟურნალისტების მხრიდან არ დაფიქსირებულა მიკერძოების ფაქტები.


რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 15 ოქტომბრიდან პოლიტიკური სიახლეების გარდა საინფორმაციო გამოშვებებში დიდი დრო ეთმობოდა ადგილობრივი კულტურული და სპორტული ღონისძიებების გაშუქებას. შესაბამისად, უკვე ნაკლებად შუქდებოდნენ მონიტორინგის სუბიექტები.


"თანამგზავი" (თელავი) - ტელეკომპანიის სინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას 11 საათი და 3 წუთი დაეთმო. აქედან 2 საათი და 33 წუთი მთავრობაზე მოდიოდა, საათი და 58 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებაზე", ხოლო საათი და 35 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას საათი და 3 წუთი დაეთმო.



სუბიექტების გაშუქებისას ძირითადად ნეიტრალური და პოზიტიური ტონები გამოვლინდა. თუმცა, გვქონდა ნეგატიურ ტონში გაშუქების შემთხვევებიც. ყველაზე მეტი ნეგატიური ტონი ხელისუფლების (56%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (24%) მიმართ დაფიქსირდა.



სუბიექტებზე საუბრობდნენ როგორც სხვები, ასევე თავად სუბიექტებსაც ეთმობოდათ დრო. 71% ირიბი საუბარი დაფიქსირდა პრეზიდენტის (დათმობილი დრო 24 წთ.) გაშუქების დროს. ხოლო პირდაპირი საუბარი მეტი იყო არჩევნების დამკვირვებლების (74%; დათმობილი დრო 6 წთ.) გაშუქებისას. სხვა შემთხვევებში ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

ტელეკომპანია "თანამგზავრი" აშუქებდა როგორც ადგილობრივ, ისე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. თუმცა ადგილობრივი სიახლეების გაშუქებას უფრო მეტი დრო ეთმობოდა.


საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტებში ჩანდა ჟურნალისტის მცდელობა, თანაბრად გაეშუქებინა ყველა დაინტერესებული მხარე. თუმცა იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები უარს ამბობდნენ ინტერვიუს მიცემაზე. მაგალითად, 15 აგვისტოს ახალი ამბების გამოშვებაში გასულ სიუჟეტში, სადაც საუბარი იყო სოფელ ვარდისუბნის მცხოვრებლების საპროტესტო აქციაზე გამგეობის წინ, ჩანს როგორ უშედეგოდ ცდილობს ჟურნალისტი სოფლის ტერიტორიული მართვის ორგანოს წარმომადგენლისგან ინტერვიუს აღებას. კადრში ასევე ჩანს როგორ ურტყამს იგი ხელს კამერას.

19 ივლისის კახეთის რეგიონში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალდა ტელევიზიაც. ტელეკომპანია დროებით არ მაუწყებლობდა და საინფორმაციო გამოშვებები ეთერში 7 აგვისტომდე არ გასულა.


თუ შევადარებთ წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომი პერიოდების საინფორმაციო გამოშვებებს, ვნახავთ, რომ რაიმე მკვეთრი ცვლილება გაშუქების მაჩვენებლებში (ტონი, პირდაპირი/ირიბი გაშუქება) არ გამოვლენილა. საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები დაბალანსებულია; ჟურნალისტის ტექსტი კი ყოველთვის მაქსიმალურად მიუკერძოებელი.

მონიტორინგის განმავლობაში კადრებით / ხმით მანიპულირების, უზუსტობებისა და მიკერძოებული კითხვების დასმის მსგავსი დარღვევები არ დაფიქსირებულა.


"თრიალეთი" (ქ. გორი) - ტელეკომპანიამ მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას ათი საათი და 50 წუთი დაუთმო. ყველაზე მეტი დრო (2 სთ. 39 წთ.) წილად ხვდა ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას. 2 საათი და 10 წუთი დაეთმო კოალიცია "ქართულ ოცნებას", ხოლო საათი და 19 წუთი - მთავრობას.



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი თითქმის თანაბრად გამოვლინდა. ყველაზე ხშირად ნეგატიურად შუქდებოდა: ხელისუფლება (86%; დათმობილი დრო 1 სთ. 9 წთ.), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (58%; დათმობილი დრო 58 წთ.), მთავრობა (52%; დათმობილი დრო 1 სთ.19 წთ.) და პრეზიდენტი (48%; დათმობილი დრო 16 წთ.). ხოლო პოზიტიურად: თავისუფალი დემოკრატები (73%; დათმობილი დრო 5 წთ.), ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (65%; დათმობილი დრო 11 წთ.), ახალი მემარჯვენეები (53%; დათმობილი დრო 18 წთ.). 95% ნეიტრალურად გაშუქდნენ არჩევნების დამკვირვებლები (დათმობილი დრო 11 წთ.), 78% ლეიბორისტული პარტია (დათმობილი დრო 5 წთ.), 76% თავისუფალი საქართველო (დათმობილი დრო 15 წთ.), 68-68% ცენტრალური საარჩევნო კომისია და კოალიცია "ქართული ოცნება".



სუბიექტების გაშუქებისას, უმეტესწილად, ირიბი საუბარი სჭარბობდა პირდაპირს. ეს უკანასკნელი მეტი იყო მხოლოდ არჩევნების დამკვირვებლების (80%), თავისუფალი საქართველოს (72%), თავისუფალი დემოკრატების (68%) და ახალი მემარჯვენეების (64%) გაშუქებისას.




ტელეკომპანია „თრიალეთი“ ძირითადად რეგიონში მიმდინარე პროცესებს აშუქებდა, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევებში სიუჟეტები ცენტრალურ ამბებზეც მომზადდა. მაგალითად, ტელეკომპანიამ აქტიურად გააშუქა პატიმრების წამების ფაქტები.

„თრიალეთის“ ეთერში სიუჟეტები ხშირად ერთ-ერთი მოქალაქის, ოჯახის ან უბნის პრობლემებზე მზადდებოდა, სადაც რესპონდენტები უკმაყოფილებას უმეტესად ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ გამოხატავდნენ. მონიტორინგის განმავლობაში ტელეკომპანია ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ძველი ხელისუფლების საქმიანობას ძირითადად უარყოფით კონტექსტში აშუქებდა. დაფიქსირდა ჟურნალისტის მხრიდან მიკერძოებული კითხვების დასმისა და სუბიექტური შეფასების შემთხვევებიც. მაგალითად, როდესაც მოქალაქეები ამბობენ, რომ პრობლემის მოსაგვარებლად ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართეს, ჟურნალისტი კითხულობს: *"და თქვენი პრობლემით არავინ დაინტერესებულა, ხო?"*


ოქტომბერ-ნოემბრის განმავლობაში დაუბალანსებელი სიუჟეტების ან მიკერძოებული გაშუქების ფაქტები თითქმის არ დაფიქსირებულა. საინფორმაციო გამოშვებებში მოვლენები და მონიტორინგის სუბიექტები უმეტესწილად ნეიტრალურად შუქდებოდნენ.

"გურია" (ქ. ოზურგეთი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 4 საათი და 18 წუთი დაეთმოთ. ყველაზე მეტი დრო, საათი და ორი წუთი ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებაზე მოდიოდა. გაშუქების 43 წუთი წილად ხვდა კოალიცია "ქართულ ოცნებას", 33-33 წუთი - მთავრობას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.


რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი



სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურად და პოზიტიურად საუბრობდნენ. თუმცა გამოვლინდა ნეგატიური ტონიც. ყველაზე მეტად ნეგატიურად ხელისუფლება (78%; დათმობილი დრო 10 წუთი) გაშუქდა.



სუბიექტების გაშუქებისას ირიბი საუბარი სჭარბობდა:



ტელეკომპანია "გურია" საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად რეგიონის ახალ ამბებს აშუქებდა. ძალიან ცოტა დრო ეთმობოდა ზოგადად ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ჩვენებას. თუმცა არჩევნების პერიოდში ცენტრალური ახალი ამბების გაშუქებამ მოიმატა.

ჩვენი კვლევის საწყის ეტაპზე არხის საინფორმაციო გადაცემებში ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას უმეტესწილად დადებითი ტონი ფიქსირდებოდა. მაგალითად, 24 ივლისის საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტში, სადაც განხილულია ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთში გზის დაგების საკითხი, სიუჟეტის დასასრულს ჟურნალისტი პირდაპირ ასკვნიდა, რომ „სოფლისთვის ბევრი რამ გაკეთდა“.

ჟურნალისტის მიერ გამოყენებული ტერმინები (მთელი რიგი დაფინანსებული ღონისძიებები, ხელისუფლებისგან მხარდაჭერა აღტქმული გუნდი), ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერას გამოხატავდა.


მომდევნო პერიოდებში ტელეკომპანია "გურიის" საინფორმაციო გადაცემები შედარებით დაბალანსებული გახდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 17-23 სექტემბრის მანძილზე აქტიურად გაშუქდა სასაჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა წამების ფაქტებთან დაკავშირებული მოვლენები. სიუჟეტები დაბალანსებული იყო; ჟურნალისტები ცდილობდნენ თანაბრად გაეშუქებინათ ხელისუფლებისა და ოპოზიციის მოსაზრებები.

კვლევის ბოლო ეტაპზე ტელეკომპანია ძირითადად ისევ ადგილობრივ სიახლეებს აშუქებდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამჯერად მოვლენები შეფასების გარეშე, ნეიტრალურად


რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

გადმოიცმოდა, გაშუქებისას არ შეიმჩნეოდა მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე სუბიექტის მიმართ. ჟურნალისტი ფაქტებს შეფასებების გარეშე გადმოსცემდა.


"მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი) - ტელეკომპანიამ მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას სულ 3 საათი და 11 წუთი დაუთმო. აქედან, საათი და 11 წუთი ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებაზე მოდიოდა, 49 წუთი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, 25 წუთი - კოალიცია "ქართული ოცნების".



სუბიექტებს სამივე ტონში აშუქებდნენ. პოზიტიურ ტონში გაშუქება მეტი იყო პრეზიდენტის (96%), ადგილობრივი თვითმმართველობის (67%), მთავრობის (59%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (52%) შემთხვევებში. ხოლო 77% ნეგატიურად გაშუქდა ხელისუფლება.



სუბიექტებზე ირიბი საუბარი სჭარბობდა მათ პირდაპირ გაშუქებას:



ტელეკომპანია „მე-12 არხი“ სიუჟეტებს ძირითადად რეგიონში მიმდინარე კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე ამზადებდა, თუმცა ივლისის ბოლოდან არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე პარტიების წინასაარჩევნო კამპანიასაც აშუქებდა.

ტელეკომპანიამ ყველაზე აქტიურად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კობა ნაყოფია გააშუქა. ნაყოფიას კომენტარები გვხვდებოდა,


რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

როგორც პოლიტიკურ, ასევე კულტურულ და სპორტულ თემატიკაზე მომზადებულ სიუჟეტებშიც. ამასთან, ნაყოფიას მოსახლეობასთან შეხვედრები უმეტესად პოზიტიურ ტონში შუქდებოდა, პარალელურად კი კოალიცია „ქართული ოცნების“ ნეგატიურად გაშუქების მაჩვენებელი იზრდებოდა.

რიგ შემთხვევებში ჟურნალისტი მოსაზრებას და ფაქტს ერთმანეთისგან არ მიჯნავდა. სიუჟეტებში დაუცველი იყო ბალანსი და ჟურნალისტის ტექსტიც ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებაში მიკერძოებული იყო. მაგალითად: 15 აგვისტოს გამოშვებაში ჟურნალისტი დასკვნის სახით აცხადებდა, რომ *"კობა ნაყოფია და მოსახლეობა პრობლემებს ერთობლივად მოაგვარებენ"*.


აღსანიშნავია, რომ არჩევნების დღის (1 ოქტომბერი) შემდეგ მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება შემცირდა. ოქტომბერსა და ნოემბერში ყოველკვირეულად წუთზე მეტი დრო ხშირად არცერთ სუბიექტს არ ეთმობოდა.

"იმერვიზია" (ჭიათურა) - ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემებში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას ჯამში 6 საათი და 30 წუთი დაეთმო. აქედან, საათი და 52 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას, საათი და 13 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, საათი და 10 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას".




რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

სუბიექტების გაშუქება ძირითადად პოზიტიურად და ნეიტრალურად ხდებოდა. თუმცა დაფიქსირდა ნეგატიურად გაშუქების შემთხვევებიც: ხელისუფლება (30%), კოალიცია "ქართული ოცნება" (18%), თავისუფალი საქართველო (11%).



სუბიექტების გაშუქებისას თითქმის თანაბარი იყო პირდაპირი - ირიბი საუბრის პროცენტული მაჩვენებლები:




რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

ტელეკომპანია "იმერვიზია" უმეტესწილად ადგილობრივ ახალ ამბებს აშუქებდა. მონიტორინგის შედეგებმა გვიჩვენა, რომ წინასაარჩევნო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებები სახელისუფლებო პოზიციებს წარმოაჩენდა. არხი ძირითადად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანიას აშუქებდა. სიუჟეტებში ჟურნალისტები სუბიექტურ პოზიციებს დამატებითი არგუმენტების გარეშე გამოხატავდნენ. მაგალითად, ჟურნალისტი რამდენიმე მოქალაქის კომენტარზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ *„ადგილობრივები ნდობას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს უცხადებენ“*. ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე საუბრისას ჟურნალისტმა დაასკვნა, რომ *„მოსახლეობას ძალიან დიდი ხნის ნატვრა აუსრულდება“*.


ზოგჯერ ჟურნალისტიკის სტანდარტებიც ირღვეოდა: იყო შემთხვევები, როდესაც რესპონდენტის კომენტარი რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. მაგალითად, 5 ოქტომბრის 25 წუთიანი საინფორმაციო გამოშვებაში „ქართული ოცნების“ დეპუტატობის გამარჯვებული კანდიდატის, მალხაზ წერეთლის 20 წუთიანი კომენტარია ნაჩვენები.

არჩვენების შემდგომ პერიოდში არხი ცდილობდა მოვლენები და სუბიექტები ძირითად ნეიტრალურ ტონში გაეშუქებინა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ან ძალიან მცირე დრო ეთმობოდათ, ან საერთოდ არ შუქდებოდნენ.

"არგო" (ქ. ზესტაფონი) - არხმა მონიტორინგის სუბიექტებს სულ 2 საათი და 40 წუთი დაუთმო. აქედან 57 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობის გაშუქებას დაეთმო, თითქმის ნახევარი საათი - მთავრობის, 20 წუთი - კოალიცია "ქართული ოცნების".




სუბიექტებს უმეტესწილად ნეიტრალურად აშუქებდნენ. თუმცა გამოვლინდა პოზიტიური და ნეგატიური ტონებიც. 61% პოზიტიურად გაშუქდა მთავრობა, ხოლო ყველაზე მეტი ნეგატიურ ტონში გაშუქება ჰქონდათ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (49%) და პრეზიდენტს (29%).



74% პირდაპირი საუბარი დაფიქსირდა ახალი მემარჯვენეების (დათმობილი დრო 11 წთ.), 67% პარლამენტის (დათმობილი დრო 4 წთ.), 66% ცენტრალური საარჩევნო კომისიის

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი


(დათმობილი დრო 14 წთ.), 64% ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას. 96% ირიბი გაშუქება ჰქონდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 100% - პრეზიდენტს.




ტელეკომპანია "არგო" საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ნაკლებად აშუქებდა. სიუჟეტები ძირითადად რეგიონის სოციალური პრობლემების და სხვადასხვა კულტურული თუ გასართობი ღონისძიებების შესახებ მზადდებოდა. ადგილობრივ თვითმმართველობასა და ხელისუფლებაზე ნეგატიურ კონტექსტში ფაქტიურად არ საუბრობდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდა 17-23 სექტემბრის პერიოდი, როცა პატიმართა წამების ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ მთავრობის ნეგატიურად გაშუქებამ მოიმატა.

საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტების შესახებ მოწოდებული ინფორმაცია ძირითადად ზედაპირული იყო: არ იყო ანალიზი, კრიტიკა, ფაქტების მრავალმხრივად გაშუქება, მაყურებელს ინფორმაცია მშრალად მიეწოდებოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია რომელიმე სუბიექტის მიმართ ტენდენციური არ ყოფილა.

"ბორჯომი (ქ. ბორჯომი) - ტელეკომპანიამ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 2 საათი და 21 წუთი დაუთმო. გაშუქების 51 წუთი წილად ხვდა ადგილობრივ თვითმმართველობას, 30 წუთი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 12 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 11 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას".




სუბიექტებს პოზიტიურად და ნეიტრალურად აშუქებდნენ. გამოვლინდა ძალიან მცირე ნეგატიურ ტონში გაშუქებაც, თითქმის თანაბარი ყველა სუბიექტისთვის:



მთავრობის (დათმობილი დრო 10 წთ.) გაშუქებისას 77% ირიბ საუბარზე მოდიოდა, პრეზიდენტის (დათმობილი დრო 9 წთ.) შემთხვევაში - 61%. ხოლო პირდაპირი საუბარი მეტი იყო ირიბზე ადგილობრივი თვითმმართველობის (69%; დათმობილი დრო 51 წთ.), კოალიცია


რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

"ქართული ოცნების" (65%; დათმობილი დრო 11 წთ.), ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (60%; დათმობილი დრო 12 წთ.) და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის (61%; დათმობილი დრო 3 წთ.) გაშუქებისას.




ტელეკომპანია „ბორჯომის“ საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი მცირე იყო და ხშირ შემთხვევაში მონიტორინგის სუბიექტებს დრო არ ეთმობოდათ. არხი ძირითადად რეგიონში განვითარებულ მოვლენებს აშუქებდა. სიუჟეტები ძირითადად სხვადასხვა სოციალური საკითხების და ადგილობრივი ინფრასტრუქტურული (გზების და ხიდების მშენებლობა-შეკეთება) პრობლემების შესახებ მზადდებოდა. შედარებით იშვიათი იყო პოლიტიკურ თემებზე მომზადებული სიუჟეტები. აქტიურად გაშუქდა ბორჯომის საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა. შედარებით ნაკლები დრო დაეთმო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების აქტივობების ჩვენებას. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში, საინფორმაციო გამოშვებები დაუბალანსებალი იყო, თუმცა ჟურნალისტების ტექსტში მიკერძოება და სუბიექტური პოზიცია არ იგრძნობოდა. ისინი ფაქტებს მშრალად, ანალიზის გარეშე გადმოსცემდნენ.


"მარნეული ტვ" (ქ. მარნეული) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 2 საათი და 3 წუთი დაეთმოთ. 32 წუთი წილად ხვდა მთვრობის გაშუქებას, 24 წუთი - კოალიცია "ქართული ოცნების", ხოლო 9-9 წუთი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის.



სუბიექტებს სამივე ტონში აშუქებდნენ. თუმცა პოზიტიური და ნეიტრალური ტონი სჭარბობდა. ნეგატიურ ტონში ყველაზე მეტი გაშუქება ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა (38%).




თითქმის თანაბრად გამოვლინდა სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების მახასიათებლები:




ტელეკომპანია "მარნეულის" საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებიდან ძალიან ცოტას ეთმობოდა დრო. არხი ძირითადად ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ამზადებდა სიუჟეტებს. საინფორმაციო გამოშვებები დაუბალანსებალი იყო, თუმცა ჟურნალისტები სუბიექტურ დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენის მიმართ არ გამოხატავდნენ. ისინი ფაქტებს მშრალად, ანალიზის გარეშე გადმოსცემდნენ.


"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - ტელეკომპანიამ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას 9 საათი და 8 წუთი დაუთმო. აქედან, 2 საათი და 18 წუთი მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, საათნახევარი - ადგილობრივი თვითმმართველობის, საათი და 18 წუთი - კოალიცია "ქართული ოცნების". ხოლო საათი და 6 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო.



სუბიექტებს უმეტესწილად ნეიტრალურად აშუქებდნენ. თუმცა გამოვლინდა პოზიტიური და ნეგატიური ტონებიც. დათმობილი დროის 55% ნეგატიურად გაშუქდა ხელისუფლება, 32% - ცენტრალური საარჩევნო კომისია, 30% - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ხოლო პოზიტიურად გაშუქების 37% ჰქონდა ხელისუფლებას, 31% - მთავრობას. მხოლოდ ნეიტრალურად გაშუქდა პარლამენტი, 93% კი - არჩევნების დამკვირვებლები.




უმეტეს შემთხვევებში სუბიექტების ირიბი გაშუქება უფრო მეტი იყო პირდაპირზე. კოალიცია "ქართული ოცნების", პრეზიდენტის, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის გაშუქებისას ეს მახასიათებლები თითქმის თანაბარი იყო. არჩევნების დამკვირვებლების შემთხვევაში 74% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.




მონიტორინგის მიმდინარეობის მანძილზე ტელეკომპანია "გურჯაანი" შეფერხებებით მაუწყებლობდა. კერძოდ, 19 ივლისს კახეთის რეგიონში მომხდარი სტიქიის შედეგად ტელეკომპანიას პრობლემები შეექმნა. დაზიანდა აპარატურა, რის გამოც არხმა 15 აგვისტომდე მაუწყებლობა შეწყვიტა. თუმცა არხზე არსებული ტექნიკური პრობლემების გამო საინფორმაციო გამოშვებები ეთერში ყოველდღიურად 23 აგვისტომდე არ გადიოდა. ტელეკომპანია "გურჯაანის" საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგების ანალიზისას ორი ეტაპი შეგვიძლია გამოვყოთ: წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომი პერიოდები. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი შედეგებით. კერძოდ, წინასაარჩევნო პერიოდში ტელეკომპანია დიდ დროს მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის პოზიტიურად გაშუქებას უთმობდა. გამოშვებებში ხშირად დამატებითი არგუმენტების გარეშე, ზედაპირულად შუქებოდა სამთავრობო ინიციატივები.

სასჯელალსრულების დაწესებულებებში პატიმართა წამებისთან დაკავშირებული მოვლენები ტელეკომპანია "გურჯაანმა" მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გააშუქა, რის შედეგადაც მთავრობის მიმართ 53%-იანი ნეგატიური ტონის მაჩვენებელი დაფიქსირდა. საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში არხის საინფორმაციო გამოშვებები დაბალანსებული გახდა. სიუჟეტებში წარმოდგენილი იყო როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის შეხედულებები. ჟურნალისტების მხრიდან კი სუბიექტური შეფასებების ფაქტები არ გამოვლენილა.


"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი) - ტელეკომპანიამ მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას 5 საათი დაუთმო. აქედან საათი და შვიდი წუთი კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებაზე მოდიოდა, 53 წუთი - ადგილობრივი თვითმმართველობის, 47 წუთი - მთავრობის, 45 წუთი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის.



სუბიექტებს სამივე ტონში თანაბრად აშუქებდნენ. ყველაზე ნაკლები ნეგატიური გაშუქება ცენტრალური საარჩევნო კომისიის (3%) და პრეზიდენტის (4%) შემთხვევებში გამოვლინდა.



სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების მახასიათებლები თითქმის თანაბარი იყო. მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაშუქებისას (27 წთ.) ირიბ საუბარზე 85% მოდიოდა; ასევე 100% ირიბი იყო ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის (სია) გაშუქება (15 წუთი).




ტელეკომპანია "ლტვ" ძირითადად ადგილობრივ ამბებს აშუქებდა, დიდი დრო დაეთმო ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებას.

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების გაშუქებისას ჟურნალისტის ტექსტი დაუბალანსებელი იყო. განსაკუთრებით იგრძნობოდა ჟურნალისტის ნეგატიური დამოკიდებულება კოალიცია "ქართული ოცნების" მიმართ. ასევე შესამჩნევი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ძველი ხელისუფლების პოზიტიურად გაშუქების ფაქტები. მაგალითად, 20 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებაში, სადაც ნაჩვენებია რა ზიანი მიაყენა სტიქიამ ლაგოდეხის რაიონის რამდენიმე სოფელს ჟურნალისტი ამბობს: „*მოსახლეობასთან არ ჩასულან კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენლები, გლეხები მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მოინახულეს*“. ასევე იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტი კოალიცია "ქართული ოცნების" მხარდამჭერებს „*მეოცნებედ*“ მოიხსენიებდა.

არჩევნების შემდგომ პერიოდში ჟურნალისტების მხრიდან მიკერძოებულად გაშუქების ფაქტებმა შედარებით იკლო.


"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - არხმა მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას ჯამში 6 საათი და 32 წუთი დაუთმო. აქედან, ყველაზე მეტი დრო, საათი და 27 წუთი წილად ხვდა მთავრობის გაშუქებას, საათი და 6 წუთი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, 54 წუთი - კოალიცია "ქართული ოცნების".

**სუბიექტებისთვის დათმობილი დრო - სულ 6 სთ. 32 წთ.
ტელეკომპანია "მეგა ტვ"**




სუბიექტებს უმეტესწილად ნეიტრალურად აშუქებდნენ. თუმცა გვქონდა პოზიტიურ და ნეგატიურ ტონებში გაშუქებაც. დათმობილი დროის 73% პოზიტიურად გაშუქდა ხელისუფლება. ხოლო ყველაზე მეტი ნეგატიური გაშუქება ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (29%) ჰქონდა.

**ტონი სუბიექტების მიმართ (%)
ტელეკომპანია "მეგა ტვ"**



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

სუბიექტების გაშუქების პირდაპირი და ირიბი საუბრის მაჩვენებლები ხშირ შემთხვევებში თითქმის თანაბრად გამოვლინდა. თუმცა, 67% ირიბ საუბარზე მოდიოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას; ხოლო პირდაპირი გაშუქება მეტი იყო პარლამენტის (დათმობილი დრო 49 წთ.), პრეზიდენტის (დათმობილი დრო 34 წთ.), თავისუფალი საქართველოს და ახალი მემარჯვენეების (დათმობილი დრო 4-4 წთ.), არჩევნების დამკვირვებლების (დათმობილი დრო 3 წთ.) შემთხვევებში.




ტელეკომპანია „მეგა ტვ“ ძირითადად რეგიონში განვითარებულ მოვლენებს აშუქებდა. თუმცა, ზოგჯერ სიუჟეტებს ცენტრალურ მოვლენებზეც ამზადებდა. არხზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, საინფორმაციო გამოშვების ფორმატი ხშირად იცვლებოდა: თავიდან კვირაში 2-ჯერ, შემდეგ 4-ჯერ და ბოლოს უკვე ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდნენ.

მთლიანობაში საინფორმაციო გამოშვებები დაბალანსებული იყო იმ კუთხით, რომ შუქდებოდა, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციის შეხედულებები. თუმცა, ცალკე აღებული სიუჟეტები მხოლოდ ერთი მხარის პოზიციას წარმოაჩენდა. ამასთან, ზოგჯერ ჟურნალისტიკის სტანდარტები ირღვეოდა. მაგალითად, იყო შემთხვევები, როდესაც რესპონდენტის კომენტარი რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რომელიმე სუბიექტის მიკერძოებულად გაშუქების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი


ჟურნალისტები დაუსაბუთებელ შეფასებებს არ აკეთებდნენ და სუბიექტებიც ძირითადად ნეიტრალურად შუქდებოდნენ.

"ზარი" (სამტრედია) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ორი საათი და 53 წუთი დაეთმო. აქედან გაშუქების 37 წუთი წილად ხვდა მთავრობას, 28 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 26 წუთი - პარლამენტს, 23 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას.




სუბიექტებს პოზიტიურად და ნეიტრალურად აშუქებდნენ. ნეგატიურად გაშუქების ძალიან მცირე (6%) მაჩვენებელი გამოვლინდა კალიცია "ქართული ოცნების" და ადგილობრივი თვითმმართველობის (1%) მიმართ.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი



პარლამენტის გაშუქების 98% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა. 91% ირიბი გაშუქება ჰქონდა პრეზიდენტს (დათმობილი დრო 8 წთ.), 83% - კვალიცია "ქართულ ოცნებას" (დათმობილი დრო 16 წთ.).




ტელეკომპანია „ზარის“ საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი 13 აგვისტოდან განხორციელდა. არხი მხოლოდ რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებების ხანგრძლივობისა და მისი სიხშირიდან გამომდინარე მონიტორინგის სუბიექტებს, სხვა არხებთან შედარებით, მცირე დრო დაეთმო.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი


მონიტორინგის პერიოდში გასული სიუჟეტების უმეტესობა დაუბალანსებელი იყო. სიუჟეტებში ხშირი იყო ჟურნალისტის მიერ სუბიექტური შეფასების შემთხვევები, რაც, როგორც წესი, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ყოფილ ხელისუფლებას პოზიტიურად წარმოაჩენდა. მაგალითად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები ახლად რეაბილიტირებულ სკოლას ესტუმრნენ. ამ დროს ჟურნალისტი ამბობს: „რეაბილიტაციის შედეგად მიღებული სიხარული მოსწავლეებმა გულში ვეღარ დაიტყეს“. ჟურნალისტი მსგავს შეფასებებს არჩევნების შემდგომაც აკეთებდა. მაგალითად, კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ კონცერტზე 10 წუთიანი სიუჟეტი მომზადდა, საიდანაც 7 წუთი მხოლოდ სიმღერებსა და ცეკვებს დაეთმო. ამის შემდეგ კი ჟურნალისტმა განაცხადა: „გრანდიოზულ კონცერტზე (...) მომღერლების გამოსვლით შექმნილი მუხტი, კახი კალაძის გამოჩენამ კიდევ უფრო გაზარდა“.

„მე-9 ტალღა“ (ფოთი) - ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას ჯამში 4 საათი და 28 წუთი დაეთმო. აქედან საათი და 8 წუთი კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებაზე მოდიოდა, 44 წუთი - მთავრობის, 41 წუთი - ადგილობრივი თვითმმართველობის. ხოლო გაშუქების 38 წუთი წილად ხვდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.




რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

სუბიექტებს უმეტესწილად ნეიტრალურად აშუქებდნენ. თუმცა დაფიქსირდა პოზიტიური და ნეგატიური ტონებიც. 71% ნეგატიურად გაშუქდა ხელისუფლება, 41% - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 30% - ცენტრალური საარჩევნო კომისია. ყველაზე მეტი პოზიტიურად გაშუქება ჰქონდა პარლამენტს (31%), პრეზიდენტს (23%) და კოალიცია "ქართულ ოცნებას" (20%).



პირდაპირი/ირიბი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო კოალიცია "ქართული ოცნების", პრეზიდენტის, პარლამენტის, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის გაშუქებისას. 70% ირიბი საუბარი დაფიქსირდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქების (38 წთ.) დროს. ეს მაჩვენებელი მეტი იყო ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის (69%; დათმობილი დრო 10 წთ.) შემთხვევაშიც.



ტელეკომპანია „მე-9 ტალღის“ საინფორმაციო გადაცემა "კურსორი" არხზე მიმდინარე რეორგანიზაციის გამო ეთერში 31 აგვისტოდან გავიდა. საინფორმაციო გამოშვებებში შუქებოდა როგორც ადგილობრივი, ისე ზოგადად ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. თუმცა ადგილობრივ სიახლეებს უფრო მეტი დრო ეთმობოდა. საინფორმაციო გამოშვებებში დიდი დრო რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის მიერ მომზადებულ სიუჟეტებსაც დაეთმო. არხის საინფორმაციო გამოშვებებში აქტიურად გაშუქდა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიები, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობა. თუმცა არანაკლები დრო ეთმობოდა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებების გაშუქებას; რამდენიმე გამოშვების მთავარი თემა კი ფოთის პორტის თანამშრომლების გაფიცვა და ამ თემის ირგვლივ განვითარებული მოვლენები იყო. ამ სახის სიუჟეტებში მონიტორინგის სუბიექტები ნაკლებად გვხვდებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ სიუჟეტებში ბალანსი ძირითადად დაცულიყო, ჟურნალისტის ტექსტი კი - მიუკერძოებელი და არ იგრძნობოდა მისი პირადი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის ან სუბიექტის მიმართ.



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.